

Post № 0120, თბილისი, მოსკოვის გამზ. 25 // 25 Moscow ave., Tbilisi, Georgia//, e-mail: info@garcae.org.ge,
www.garcae.org.ge

11 მარტი 2022 წ.
ქ. თბილისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო პრემიერ-მინისტრო,

წერილით მომართვისკენ გვიბიძგა ნორმატიული აქტების პროექტებმა, რომლებიც წარმოადგენენ ცალკეული სახეობის პროდუქციის ენერგოეტიკეტირების წესებს. თავის მხრივ, ეს ნორმატიული აქტების პროექტები გამომდინარეობს „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და განსაზღვრავს პროდუქტის/მოწყობილობების ენერგოეტიკეტირების და მასთან დაკავშირებული ტექნიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს მწარმოებლებისა და რეალიზატორებისათვის. იმ პროდუქტებს შორის, რომელსაც ეხება ნორმატიული აქტები, კანონში ჩამოთვლილია:

- საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამაცივრო მოწყობილობები და ჰაერის კონდიციონერები;
- პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერები;

როგორც პროექტებიდან ირკვევა, მათი ძალაში შესვლა უნდა მოხდეს მიმდინარე წლის 31 მარტიდან.

მოგეხსენებათ, რომ მსგავსი კანონპროექტების ინიცირებამდე აუცილებელია შესაბამისი სექტორის ექსპერტებთან და კომერციაში მოქმედ სუბიექტებთან გარკვეული კონსულტაციები, რათა მიღებულ იქნას სწორად გააზრებული, ევროდირექტივებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანილი და რეალურად აღსრულებადი ნორმატიული აქტები, რომელიც გასაგები და შესრულებადი იქნება როგორც მწარმოებლისთვის ასევე იმპორტიორ-რეალიზატორებისთვის.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მოწყობილობების ნორმატიული აქტების პროექტირებისას არანაირი კონსულტაციები არ განხორციელებულა სექტორში დაკავებულ ექსპერტებთან და კერძო კომპანიებთან. და ეს მაშინ, როდესაც სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონირებისა და თბური ტუმბოების სექტორი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის მთელ მსოფლიოში, რადგან აქ გამოყენებულ ხელოვნურ ნივთიერებებს გააჩნია ოზონის შრის მაშლის და/ან გლობალური დათბობის პოტენციალები, ხოლო მათი ალტერნატივები საშიშია ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ამის გამო „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ“ მონრეალის ოქმის რეკომენდაციით და მხარდაჭერით საქართველოში შექმნილია ა(ა)იპ „საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაცია“ (ს/კ 204935918) - ერთადერთი ორგანიზაცია ქვეყანაში, რომელიც აერთიანებს ხელოვნური სიცივის სფეროში დაკავებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს. ჩვენი საზოგადოების დანიშნულება არის სწორედ შუალედური რგოლის ფუნქციის შესრულება სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის, რათა მინიმუმამდე შემცირდეს მაცივრების, კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

პროფესიონალების გარეშე შედგენილ ნებისმიერი სახის ნორმატიულ დოკუმენტში ძალიან დიდია ხარვეზების გაპარვის ალბათობა. მაგალითისთვის საკმარისია გადავხედოთ ჩვენ ხელთ ჩარადნილ ტექნიკურ რეგლამენტს „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების

ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“. ვინ და რა მახასიათებლებით გაარჩევს, რომელი სამაცივრო საკანია პროფესიული და რომელი არა? ასეთი კლასიფიკაცია სამაცივრო ტექნიკაში არ არსებობს. ან საიდან არის აღებული ისეთი არაკორექტული ტერმინები, როგორცაა „გაცივებული (გაყინული) სამუშაო ტემპერატურა“, „მსუბუქი (რთული) რეჟიმის კამერა“ და სხვ.

რაც შეეხება პროფესიული სამაცივრო-შესანახი საკნის მოდელის ენერგოეფექტურობის ინდექსის (EEI) გამოთვლას, ეს უკვე უკავშირდება მეორე მტკივნეულ პრობლემას. ვინ ჩაატარებს ამ გამოთვლებს? საქართველოს არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ხორციელდება სასწავლო პროგრამა სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სექტორის პროფესიული კადრების მოსამზადებლად. მეტიც, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში საერთოდ არ არის შეტანილი ასეთი სპეციალობა. არადა საქართველოს კანონმდებლობით ეს არის რეგულირებადი პროფესია - საქართველოს კანონის „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ მუხლი 54¹-ს პ. 2-ის თანახმად მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ ტექნიკოსს.

არის სხვა საკითხებიც, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რადგან ფერხდება ზემოხსენებული სექტორის სწორი განვითარება. სექტორის გამართული მუშაობა კი საჭიროა როგორც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგან დღეს არ არსებობს ადამიანის საქმიანობა ხელოვნური სიცივის მოწყობილობების გარეშე. ეს ნათლად გამოჩნდა პანდემიის დროს, როცა შეიქმნა ვაქცინების ზედაბალ ტემპერატურებზე შენახვის პრობლემა.

ამ საკითხებს შორისაა, მაგალითად, გარემოსთვის საშიში მაცივარაგენტების შეგროვება, რეციკლირება, დასაწყობება და განადგურება. ნარჩენების მართვის კოდექსში ეს საკითხი ღიადაა დარჩენილი. არ არის გათვალისწინებული სექტორის თავისებურებანი სახელმწიფო შესყიდვის წესებშიც, რის გამოც ხშირია შეცდომები როგორც მოწყობილობების, ისე მათი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების დროს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, აგრეთვე, რომ საქართველოში მაცივრების და ჰაერის კონდიციონერების სისტემების შექმნისათვის მოქმედებს შესაბამისად СНиП 2.11.02-87 და СНиП 2.04.05-86. ეს ნორმები და წესები შემუშავებულია საბჭოთა კავშირში 1986-87 წლებში, როცა არც „ოზონის შრის დამზღველი ნივთიერებების შესახებ“ მონრეალის ოქმი არსებობდა და არც კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია. დღეს სულ სხვა მოთხოვნებია წაყენებული ამ მოწყობილობების მიმართ და 35 წლის წინანდელი ნორმების და წესების ძალაში ყოფნა მიგვაჩნია სამარცხვინოდ როგორც ჩვენთვის, სპეციალისტებისათვის, ისე ჩვენი ქვეყნისთვის. მით უმეტეს, რომ ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია არის ანალოგიურ ასოციაცია საერთაშორისო ალიანსის (AASA) წევრი და ხელი მიუწვდება ჩვენ სექტორთან დაკავშირებულ უახლეს ნორმაბთან და სტანდარტებთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გთხოვთ, თქვენი დავალების საფუძველზე უზრუნველყოთ უწყებათშორისი შეხვედრის ორგანიზება ზემოაღნიშნული საკითხების განსახილველად, სექტორში მოქმედი სუბიექტების მონაწილეობით.

ჩვენი მხრივ მზაობას გამოვთქვამთ ნებისმიერი ფორმით კომუნიკაციისა და საქმიან განხილვებში მონაწილეობისთვის.

პატივისცემით,

ს. სულამძე

ტ.მ.დ., ასოციაციის პრეზიდენტი

ASHRAE-ს (აშშ-ს გათბობის, სამაცივრო ტექნიკის და ჰაერის კონდიციონერების ინჟინერთა ასოციაცია) და IIR-ის (სიცივის საერთაშორისო ინსტიტუტი) წევრი.

დანართი: დანართი 1. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, ტექნიკური რეგლამენტი „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“ - 19 ფურცელი.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №-

2021 წლის --- სექტემბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტი „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების
ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“

მუხლი 1

„ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 31 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

ლარიბაშვილი

ირაკლი

ტექნიკური რეგლამენტი – „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების
ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. ტექნიკური რეგლამენტი „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“ (შემდგომ - „ტექნიკური რეგლამენტი“) ადგენს პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ეტიკეტირებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნებს.
2. ეს ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება იმ პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების მიმართ, რომელიც ერთდება ელექტრო ჩამრთველში და ასევე მოიცავს საკვები პროდუქტების და ცხოველების საკვების გაცივების მიზნით გამოსაყენებელ მოწყობილობებს.
3. ეს ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება შემდეგ პროდუქტებზე:
 - (ა) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომლის ძირითადი კვების წყარო არის ენერგია, გარდა ელექტრულისა;
 - (ბ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელიც მუშაობს დისტანციური კონდენსაციის ერთეულით;
 - (გ) ღია კამერა, სადაც ღიაობა მისი ფუნქციონირების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს;
 - (დ) კამერა, რომელიც შექმნილია სპეციალურად საკვების გადასამუშავებლად. იმ შემთხვევაში, თუ კამერა შექმნილია სპეციალურად საკვების გადასამუშავებლად და გააჩნია მხოლოდ ერთი განყოფილება, რომლის სალდო მოცულობა კამერის მთლიანი სალდო მოცულობის 20%-ზე ნაკლების ექვივალენტურია, გამონაკლისი არ ვრცელდება;
 - (ე) კამერა, რომელიც სპეციალურად შექმნილია მხოლოდ გაყინული საკვები პროდუქტების კონტროლირებადი გაღობის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ კამერას გააჩნია მხოლოდ ერთი განყოფილება, რომელიც სპეციალურად შექმნილია გაყინული საკვები პროდუქტის კონტროლირებადი გაღობისთვის, გამონაკლისი არ ვრცელდება;
 - (ვ) მაცივარი ვიტრაჟი;
 - (ზ) დახლზე მომსახურების და სხვა მსგავსი ფორმის კამერები, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია საკვები პროდუქტების საჩვენებლად და გასაყიდად, მათი გაცივებისა და შენახვის ფუნქციასთან ერთად;
 - (თ) კამერა, ორთქლის კომპრესიული გაცივების ციკლის გარეშე;
 - (ი) შეკვეთით დამზადებული პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელიც დამზადებულია ერთჯერადად, მომხმარებლის ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად და არ არის ექვივალენტური პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელიც განმარტებულია მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში;
 - (კ) მაცივარი-საყინულე;
 - (ლ) სტატიკური საჰაერო კამერა;
 - (მ) ჩასაშენებელი კამერა;
 - (ნ) გადასაადგილებელი და გამჭოლი კამერა;
 - (ო) საყინულე ყუთი.
4. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების მიმწოდებლისა და დილერის ვალდებულებებს პროდუქტის მიერ ენერგო მოხმარების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, რაც ემსახურება მომხმარებელთა ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფასა და ენერგოეფექტური პროდუქტების მოხმარების წახალისებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის გამოიყენება ამ მუხლში მოცემული შემდეგი ტერმინები:

ა) „პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა“ - განცალკევებული სამაცივრო მოწყობილობა, რომელიც აერთიანებს ერთ ან მეტ განყოფილებას ერთი ან მეტი კარის ან უჯრის მეშვეობით, რომელსაც შეუძლია მუდმივად შეინარჩუნოს საკვები პროდუქტის ტემპერატურა დადგენილ ზღვრებში გაცივებულ ან გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე, ორთქლის კომპრესიული ციკლის გამოყენებით და განკუთვნილია საკვები პროდუქტების შესანახად არასაყოფაცხოვრებო გარემოში, მაგრამ არა მოხმარებლისთვის საჩვენებლად ან ხელმისაწვდომად;

ბ) „საკვები პროდუქტი“ - საკვები, ინგრედიენტები, სასმელი, მათ შორის, ღვინოდა სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტებს, რომლებიც გარკვეულ ტემპერატურებზე გაცივებას საჭიროებს;

გ) „ჩასაშენებელი კამერა“ - ფიქსირებული განცალკევებული სამაცივრე მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია კამერაში, კედელში გაკეთებულ ნიშაში ან მსგავს ადგილას დასამონტაჟებლად, რომელიც ითხოვს ავეჯის დამუშავებას;

დ) „გადასაადგილებელი კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახ კამერა, რომელიც მოიცავს ერთ უნიკალურ განყოფილებას, რომელიც იძლევა პროდუქტისთვის განკუთვნილი გორგოლაჭიანი თაროების შეგორების შესაძლებლობას;

ე) „გამჭოლი კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახ კამერა, რომელიც ორივე მხრიდან არის ხელმისაწვდომი;

ვ) „სტატიკური საჰაერო კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა შიდა ჰაერის იძულებითი ცირკულაციის გარეშე, რომელიც სპეციალურად შექმნილია მალფუჭებადი საკვები პროდუქტების შესანახად ან დალუქული შეფუთვის გარეშე შენახული საკვები პროდუქტების გამოშრობის ეფექტის თავიდან ასაცილებლად. კამერის შიგნით ერთი სტატიკური ჰაერის განყოფილება არ არის საკმარისი კამერის სტატიკურ საჰაერო კამერად განსაზღვრისთვის;

ზ) „ღია კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომლის სამაცივრო დახურული სივრცე გარედან ხელმისაწვდომია კარის ან უჯრის გამოღების გარეშე. მხოლოდ ერთი განყოფილების არსებობა, რომელიც შეიძლება გარედან ხელმისაწვდომი იყოს კარის ან უჯრის გამოღების გარეშე, როდესაც კამერის სალდო მოცულობა მისი მთლიანი სალდო მოცულობის 20% -ზე ნაკლების ექვივალენტურია, არ არის საკმარისი კამერის ღია კამერად დაკვალიფიცირების მიზნით;

თ) „მაცივარი ვიტრაჟი“- პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელსაც აქვს ერთი ან მეტი კარი ან უჯრა წინა მხარეს ვერტიკალურ სიბრტყეზე, ასევე ზემოთ გააჩნია ჭრები, რომელშიც შესაძლებელია დროებითი შესანახი სათავსების ჩასმა საკვები პროდუქტის ადვილად შესანახად, როგორცაა პიცის დანამატები ან სალათის შემადგენელი ნაწილები და არა მხოლოდ;

ი) „კომბინირებული კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელიც საკვები პროდუქტის გასაცივებლად და შესანახად მოიცავს ორ ან ორზე მეტ განყოფილებას განსხვავებული ტემპერატურით;

კ) „მაცივარი-საყინულე“ კომბინირებული კამერის ტიპი, რომელიც მოიცავს სულ მცირე ერთ განყოფილებას ექსკლუზიურად გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე ფუნქციონირებისთვის და ერთ განყოფილებას - ექსკლუზიურად გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე მუშაობისთვის;

ლ) „საყინულე ყუთი“ - საკვები პროდუქტისთვის განკუთვნილ საყინულე, რომელშიც განყოფილებასთან(განყოფილებებთან) წვდომა ხდება მოწყობილობის ზედა მხრიდან, ან რომელსაც აქვს როგორც ზემოდან გასახსნელი ტიპის, ასევე ვერტიკალური ტიპის განყოფილებები, რა შემთხვევაშიც ზემოდან გასახსნელი ტიპის განყოფილებ(ებ)ის სრული მოცულობა აჭარბებს მოწყობილობის საერთო სრული მოცულობის 75%-ს.

2. I-VI დანართების მიზნებისთვის ასევე გამოიყენება ტერმინთა შემდეგი განმარტებები:

ა) „საღდო მოცულობა“ - მოცულობა, რომელიც საკვებ პროდუქტს ინახავს დატვირთვის ზღვრებში;

ბ) „გაცივებული სამუშაო ტემპერატურა“ - ტემპერატურა, რომელზეც საკვები პროდუქტი ინახება კამერაში მუდმივად შენარჩუნებულია - 1 ° C და 5 ° C-ს შორის ტემპერატურაზე;

გ) „გაყინული სამუშაო ტემპერატურა“ - ტემპერატურა, რომელზეც საკვები პროდუქტი ინახება კამერაში მუდმივად შენარჩუნებულია - 15 ° C-ზე დაბალ ტემპერატურაზე, რაც მიჩნეულია ყველაზე თბილი შეფუთვის გამოცდის უმაღლეს ტემპერატურად;

დ) „მრავალჯერადი გამოყენების კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ან იმავე კამერის ცალკეული განყოფილების შესაძლებლობა დაყენებულ იქნეს განსხვავებულ ტემპერატურაზე გაცივებული ან გაყინული საკვების პროდუქტებისთვის;

ე) „ვერტიკალური კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომლის საერთო სიმაღლე არის 1050 მმ ან მასზე მეტია, რომელსაც აქვს ერთი ან მეტი წინა კარი ან უჯრა იმავე განყოფილებაზე წვდომით;

ვ) „დახლის კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომლის საერთო სიმაღლე ნაკლებია 1050 მმ-ზე, რომელსაც აქვს ერთი ან მეტი წინა კარი ან უჯრა იმავე განყოფილებაზე წვდომით;

ზ) „მსუბუქი რეჟიმის კამერა“ („ნახევრად პროფესიონალური კამერა“)- პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელსაც შეუძლია უწყვეტად შეინარჩუნოს გაცივებული ან გაყინული სამუშაო ტემპერატურა მის ყველა განყოფილებაში იმ გარემო პირობებში, რომელიც შეესაბამება კლიმატის მე-3 კლასს, ამ ტექნიკური რეგლამენტის V დანართის მე-3 ცხრილის შესაბამისად. თუკი კამერას შეუძლია შეინარჩუნოს ტემპერატურა იმ გარემო პირობებში რომელიც შეესაბამება კლიმატის მე-4 კლასს, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მსუბუქი რეჟიმის კამერად;

თ) „რთული რეჟიმის კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა, რომელსაც შეუძლია უწყვეტად შეინარჩუნოს გაცივებული ან გაყინული სამუშაო ტემპერატურა მის ყველა განყოფილებაში იმ გარემო პირობებში, რომელიც შეესაბამება კლიმატის მე-5 კლასს, ამ ტექნიკური რეგლამენტის V დანართის მე-3 ცხრილის შესაბამისად;

ი) „ექვივალენტური პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა“ - პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელი, რომელიც განთავსებულია ბაზარზე იმავე საღდო მოცულობით, ტექნიკური მახასიათებლებით, ენერგოეფექტურობით, განყოფილების ტიპებით და მოცულობით, როგორც სხვა პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია იგივე მწარმოებლის მიერ სხვა კომერციული კოდით.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-2-მე-5 პუნქტების მიზნებისთვის ასევე გამოიყენება ტერმინთა შემდეგი განმარტებები:

(ა) „საჩვენებელი მოწყობილობა“ - ნებისმიერი ეკრანი, მათ შორის სენსორულ ეკრანი, ან სხვა ვიზუალური ტექნოლოგია, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისთვის ინტერნეტ კონტენტის საჩვენებლად;

(ბ) „ჩასმული ეკრანი“ - ვიზუალური ინტერფეისი, რა შემთხვევაშიც გამოსახულებაზე ან მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია განხორციელდეს მაუსზე ხელის დაჭერით, მაუსის მოძრაობით ან სხვა სურათის ან მონაცემის სენსორულ ეკრანზე გაფართოებით;

(გ) „სენსორული ეკრანი“ - ეკრანი, რომელიც რეაგირებს შეხებაზე, როგორცაა ტაბლეტი, პლანშეტი ან სმარტფონი;

(დ) „ალტერნატიული ტექსტი“ - გრაფიკული გამოსახულების ალტერნატიული ტექსტი, რომლის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება არაგრაფიკული ფორმით და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გრაფიკული გამოსახულების გახსნა საჩვენებელ მოწყობილობაზე შეუძლებელია. ის ასევე ნიშნავს ხელმისაწვდომობისთვის გამოყენებულ დამხმარე საშუალებას, მაგალითად როგორცაა არის ხმის სინთეზის პროგრამები.

4. ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს, რომელთა განმარტება არ არის მოცემული ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობები. სხვა ტერმინებთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინებს.

მუხლი 3. მიმწოდებლის ვალდებულებები

1. მიმწოდებელმა, რომელიც ბაზარზე განათავსებს პროფესიულ სამაცივრო-შესანახ კამერას ან უზრუნველყოფს მის ექსპლუატაციას, უნდა უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) თითოეული პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად;

ბ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის თითოეული მოდელი დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად;

გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი/ფირფიტა იყოს ხელმისაწვდომი;

დ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის თითოეული მოდელი დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პროდუქტის შესახებ ელექტრონულ საინფორმაციო ცხრილთან/ფირფიტასთან ერთად;

ე) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

ვ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამაში მიეთითოს მისი ენერგოეფექტურობის კლასი, თუ რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ზ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის ენერგოეფექტურობის კლასს.

მუხლი 4. დილერის ვალდებულებები

პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის დილერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

- ა) დისტანციური გაყიდვის შემთხვევაში პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა ბაზარზე განთავსებულ იქნეს მიმწოდებლის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც პროდუქტი განთავსებულია ინტერნეტის მეშვეობით, რა შემთხვევაშიც გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართით დადგენილი მოთხოვნები;
- ბ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამა მოიცავდეს მითითებას მისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ, თუ რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- გ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავდეს მითითებას ამ მოდელის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ.

მუხლი 5. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა)

1. პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის საინფორმაციო ცხრილში (ფირფიტა) ინფორმაცია მოცემული და ასახული უნდა იყოს პროდუქტის თანმხლებ ბროშურასა თუ სხვა საინფორმაციო ლიტერატურაში შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ა) მიმწოდებლის სახელწოდება ან სასაქონლო ნიშანი;
 - ბ) მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;
 - გ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელის კატეგორია მე-2 მუხლით გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისად;
 - დ) მოდელის ენერგოეფექტურობის კლასი და ენერგოეფექტურობის ინდექსი დანართი I-ის შესაბამისად;
 - ე) იმ შემთხვევაში, თუ მოდელს მინიჭებული აქვს „ევროკავშირის ეკო ეტიკეტი“, რეგულაცია (EC) N66/2010-ის მიხედვით, შესაძლებელია დატანილი იყოს ეს ინფორმაცია;
 - ვ) კამერის ენერგიის მოხმარება 24 საათის მანძილზე (E24h) და ენერგიის წლიური მოხმარება, რომელიც იზომება კილოვატ-საათებში, რომელიც უახლოეს მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული და გამოითვლება დანართი IV-ის შესაბამისად;
 - ზ) თითოეული განყოფილების სალდო მოცულობა;
 - თ) კლიმატის კლასი დანართი V-ის მე-3 ცხრილის შესაბამისად;
 - ი) მსუბუქი რეჟიმის კამერისთვის, შემდეგი წინადადება: „ეს მოწყობილობა განკუთვნილია გარემოს ტემპერატურაზე 25 °C-მდე გამოსაყენებლად და შესაბამისად, არ არის ვარგისი ცხელ პროფესიულ სამზარეულოში გამოსაყენებლად“;
 - კ) რთული რეჟიმის კამერისთვის, შემდეგი წინადადება: „ეს მოწყობილობა განკუთვნილია გარემოს ტემპერატურაზე 40 °C-მდე გამოსაყენებლად“;

2. საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) შეიძლება მოიცავდეს ერთი და იმავე მიმწოდებლის პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის რამდენიმე მოდელს.
3. ინფორმაცია, რომელსაც მოიცავს საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა), შესაძლოა მოცემული იყოს ეტიკეტის ფერადი ან შვ-თეთრი ასლის ფორმით. ასეთ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ეტიკეტზე არ არის ნაჩვენები, ასევე უნდა იქნეს წარმოდგენილი.

მუხლი 6. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) მიმწოდებლის სახელწოდება და მისამართი;
 - ბ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელის ზოგადი აღწერა, რომელიც მისი მარტივად და ერთმნიშვნელოვნად იდენტიფირების საშუალებას იძლევა;
 - გ) მითითება გამოყენებული სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - დ) მითითება გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ე) მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და ხელმოწერა;
 - ვ) V დანართით გათვალისწინებული ტექნიკური შემოწმების და გამოთვლის შედეგები.
2. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის რომელიმე მოდელისთვის ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია მოპოვებულია ექვივალენტური პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელის საფუძველზე გაკეთებული გამოანგარიშების შედეგად, ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ასეთი გამოთვლების დეტალებს, ასევე იმ გამოცდის დეტალებს, რომლებსაც მიმწოდებლები ატარებენ გამოთვლების სისწორის შესამოწმებლად. ტექნიკური ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ყველა სხვა ექვივალენტური პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელის ჩამონათვალს, სადაც ინფორმაცია მოპოვებულ იქნა ამავე პრინციპით.

მუხლი 7. ინფორმაცია, რომელიც უნდა იქნეს წარმოდგენილი პროდუქტის დისტანციური გაყიდვისას ინტერნეტის გარდა

1. პროდუქტის დისტანციური გაყიდვის შემთხვევაში ინტერნეტის გარდა, ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ა) მოდელის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი I-ის შესაბამისად;
 - ბ) ენერგიის წლიური მოხმარება, რომელიც იზომება კილოვატ-საათებში წელიწადში, რომელიც უახლოეს მთელ რიცხვამდე დამრგვალებული და გამოითვლება V დანართის შესაბამისად;

- გ) თითოეული განყოფილების სალდო მოცულობა;
 - დ) კლიმატის კლასფი დანართი V-ის შესაბამისად.
2. როდესაც საინფორმაციო ცხრილში (ფირფიტა) მითითებულია სხვა ინფორმაცია, ის უნდა იყოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფორმით და თანმიმდევრობით.
 3. ამ მუხლის შესაბამისად წარმოსადგენი ყველა ინფორმაციის ზომა და შრიფტი, ბეჭდური თუ საჩვენებელი ვერსიის შემთხვევაში, უნდა იყოს მკაფიო და გასაგები.

მუხლი 8. გაზომვა და გაანგარიშება

ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად წარმოსადგენი ინფორმაცია მოპოვებულ უნდა იქნეს სარწმუნო, უტყუარი და აღწარმოებადი გაზომვის პროცედურების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს გაზომვის აღიარებულ თანამედროვე მეთოდებს, ამ ტექნიკური რეგლამენტის V დანართის შესაბამისად.

მუხლი 9. ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო შემოწმების პროცედურა

1. ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება „ენერგოეფექტიურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო დეკლარირებულ ენერგოეფექტიურობის კლასთან შესაბამისობის, წლიური ენერგო მოხმარების და მოცულობების შეფასებისას იყენებს ამ ტექნიკური რეგლამენტის VI დანართში გათვალისწინებულ პროცედურას.

დანართი I. ენერგოეფექტიურობის კლასი

პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ენერგოეფექტიურობის კლასი განისაზღვრება ენერგოეფექტიურობის ინდექსის (EEI) საფუძველზე, ცხრილი 1-ის შესაბამისად. პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ენერგოეფექტიურობის ინდექსი განისაზღვრება ამ ტექნიკური რეგლამენტის IV დანართის შესაბამისად.

ცხრილი 1


პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ენერგოეფექტიურობის კლასი

ენერგოეფექტიურობის კლასი	ენერგოეფექტიურობის ინდექსი (EEI)
A+++	$EEI < 5$
A ++	$5 \leq EEI < 10$
A+	$10 \leq EEI < 15$
A	$15 \leq EEI < 25$
B	$25 \leq EEI < 35$
C	$35 \leq EEI < 50$
D	$50 \leq EEI < 75$
E	$75 \leq EEI < 85$

F	$85 \leq EEI < 95$
G	$95 \leq EEI < 115$

დანართი II. ეტიკეტი

1. ეტიკეტი 1 - A-დან G-მდე ენერგოეფექტურობის კლასებად დაყოფილი პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ეტიკეტი



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) I - მიმწოდებლის სახელწოდება ან სასაქონლო ნიშანი;

ა.ბ) II - მიმწოდებლის მიერ მინიჭებული მოდელის იდენტიფიკატორი (კოდი), რომელიც ჩვეულებრივ ანბანურ-ციფრულია, რომლითაც ხდება კონკრეტული პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელის გამორჩევა სხვა ერთი და იმავე სასაქონლო ნიშნისა თუ მიმწოდებლის სახელწოდების მქონე მოდელებისგან;

ა.გ) III - ენერგოეფექტურობის კლასი I დანართის შესაბამისად; ისრის თავი, რომელიც შეიცავს ენერგოეფექტურობის კლასს, განთავსდება იმავე სიმაღლეზე, რაზეც შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის ისრის თავი;

ა.დ) IV - წლიური ენერგო მოხმარება, რომელიც იზომება კილოვატ-საათებში წელიწადში, რომელიც უახლოეს მთელ რიცხვამდე დამრგვალებული და გამოითვლება V დანართის შესაბამისად;

ა.ე) V - სალდო მოცულობის ჯამი, რომელიც იზომება ლიტრებში, ყველა გაცივებული განყოფილებისთვის, რომელიც ფუნქციონირებს გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე; თუკი არ არის განყოფილება, რომელიც ფუნქციონირებს გაცივებულ

სამუშაო ტემპერატურაზე, მიმწოდებელმა უნდა მიუთითოს „-L” შესაბამისი მნიშვნელობის ნაცვლად;

ა.ვ) VI - სალდო მოცულობის ჯამი, რომელიც იზომება ლიტრებში, ყველა განყოფილებისთვის, რომელიც ფუნქციონირებს გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე; თუკი არ არის განყოფილება, რომელიც ფუნქციონირებს გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე, მიმწოდებელმა უნდა მიუთითოს „-L” შესაბამისი მნიშვნელობის ნაცვლად;

ა.ზ) VII - კლიმატის კლასი (მე-3, მე-4 ან მე-5), მშრალი ბოლქვის ტემპერატურასთან ერთად (გამოხატული ° C) და ფარდობითი ტენიანობა (გამოხატული %), V დანართის მე-3 ცხრილის შესაბამისად.

ბ) ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტს.


2. ეტიკეტი 2 - A+++-დან G-მდე ენერგოეფექტურობის კლასებად დაყოფილი პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ეტიკეტი



ა) A+++-დან G-მდე ენერგოეფექტურობის კლასებად დაყოფილი პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერების ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ამ დანართის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოცემულ ინფორმაციას.

ბ) ეტიკეტის დიზაინი უნდა იყოს წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტის შესაბამისი.

3. პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ეტიკეტს უნდა ჰქონდეს შემდეგი დიზაინი:



ამასთან,

ა) ეტიკეტი უნდა იყოს არანაკლებ 110 მმ-ის სიგანის და 220 მმ სიმაღლის. როდესაც ეტიკეტი დაბეჭდილია უფრო დიდი ფორმატით, მისი შინაარსი მაინც უნდა დარჩეს ზემოთ მოცემული სპეციფიკაციების პროპორციული.

ბ) ეტიკეტს უნდა ჰქონდეს თეთრი ფონი.

გ) ფერები უნდა იყოს - ფირუზისფერი, მეწამული, ყვითელი და შავი (CMYK), შემდეგი ნიმუშით: 00-70-X-00: 0 % ფირუზისფერი, 70 % მეწამული, 100 % ყვითელი, 0 % შავი;

დ) ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას (რიცხვები მიესადაგება ზემოთ მოცემულ სურათს):

1 ევროკავშირის ეტიკეტის კოდები: კოდე: 5 ტწ – ფერი: ფირუზისფერი 100% - მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.

2 ევროკავშირის ლოგო: ფერები: X-80-00-00 და 00-00-X-00.

3 ენერჯის ეტიკეტი:
ფერი: X-00-00-00.

პიქტოგრამა, როგორც სურათზეა ნაჩვენები (ევროკავშირის ლოგო + ენერჯის ეტიკეტი): სიგანე: 92 მმ X სიმაღლე: 17 მმ.

4 ქვე-ლოგოების კოდე: 1 ტწ - ფერი: ფირუზისფერი 100% - სიგრძე: 92.5 მმ.

5 A-G სკალა:

ისარი - სიგრძე: 7 მმ, დაშორება: 0.75 მმ - ფერები:

უმაღლესი კლასი: X-00-X-00,

მეორე კლასი: 70-00-X-00,

მესამე კლასი 30-00-X-00,

მეოთხე კლასი: 00-00-X-00,

მეხუთე კლასი: 00-30-X-00,

მეექვსე კლასი: 00-70-X-00,

ბოლო კლასები: 00- X - X -00.

ტექსტი: „Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 19, ასომთავრული; თეთრი; „+“ სიმბოლოები: Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 13, მინაწერი, თეთრი, ერთ რიგში ჩამწკრივებული;

6 ენერგოეფექტურობის კლასი:

ისარი: სიგანე: 26 მმ X სიმაღლე 14 მმ, 100 % შავი.

ტექსტი: „Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 29, ასომთავრული, თეთრი; „+“ სიმბოლოები: Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 18, მინაწერი, თეთრი, ერთ რიგში ჩამწკრივებული;

7 ენერგია

ტექსტი: „Calibri“ ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 11, ასომთავრული, 100% შავი.

8 წლიური ენერგო მოხმარება

კოდე: 2 ტწ – ფერი: ფირუზისფერი 100% - მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.

მნიშვნელობა: Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 32, 100% შავი.

მეორე ხაზი: Calibri“, ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 14, 100% შავი.

9 იმ განყოფილებების, სალდო მოცულობის ჯამი, რომლებიც ფუნქციონირებენ გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე სალდო მოცულობის ჯამი

კოდე: 2 ტწ – ფერი: ფირუზისფერი 100% - მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.

მნიშვნელობა: Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 25, 100% შავი; Calibri“, ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 17, 100% შავი;

10 კლიმატის კლასი, მშრალი ბოლქვის ტემპერატურასთან და ფარდობით ტენიანობასთან ერთად

კოდე: 2 ტწ – ფერი: ფირუზისფერი 100% - მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.

მნიშვნელობა: Calibri“, მუქი (bold), შრიფტის ზომა 25, 100% შავი.

მეორე ხაზი: Calibri“, ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 14, 100% შავი.

11 იმ განყოფილებების, სალდო მოცულობის ჯამი, რომლებიც ფუნქციონირებენ გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე

კოდე: 2 ტწ – ფერი: ფირუზისფერი 100% - მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.

მნიშვნელობა: Calibri“, მუქი (bold). შრიფტის ზომა 25, 100% შავი; Calibri“, ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 17, 100% შავი;

12 მიმწოდებლის სახელწოდება ან სასაქონლო ნიშანი.

13 მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი.

14 მიმწოდებლის სახელწოდება ან სასაქონლო ნიშანი და მოდელის იდენტიფიკატორი უნდა განთავსდეს 90 X 15 მმ-ის სივრცეში.

15 იმ ნორმატიული აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დამტკიცდა აღნიშნული რეგლამენტი:

ტექსტი: „Calibri“ ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 11.

დანართი III. ინტერნეტის გამოყენებით დისტანციური გაყიდვისას მისაწოდებელი ინფორმაცია

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ელექტრონული ეტიკეტი საჩვენებელ მოწყობილობაზე უნდა განთავსდეს პროდუქტის ფასთან ახლოს. ამ მუხლის შესაბამისად წარმოსადგენი ეტიკეტის ზომა უნდა იყოს მკაფიო და გასაგები და უნდა შეესაბამებოდეს ამ

ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. ეტიკეტი შეიძლება ნაჩვენები იყოს ჩასმული ეკრანის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში გამოსახულება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეტიკეტზე წვდომა, უნდა აკმაყოფილებდეს ამ დანართის მე-2 პუნქტით დადგენილ მახასიათებლებს. ჩასმული ეკრანის გამოყენების შემთხვევაში, ეტიკეტი უნდა გამოჩნდეს მაუსზე ხელის პირველივე დაჭერისთანავე, მაუსის მოძრაობის ან სენსორული ეკრანის მეშვეობით გამოსახულების გაფართოების შემთხვევაში.

2. ჩასმული ეკრანის გამოყენების შემთხვევაში გამოსახულება, რომელიც გამოიყენება ეტიკეტის სანახავად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) ისრის ფერი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის ენერგოეფექტურობის კლასს;
- ბ) პროდუქტის ენერგოეფექტურობის კლასი მითითებული უნდა იყოს თეთრ ფერში შრიფტის იმავე ზომით, რაც ფასის მისათითებლად არის გამოყენებული; და
- (გ) გამოსახულება უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ დიზაინტაგან ერთ-ერთს:



3. ჩასმული ეკრანის გამოყენების შემთხვევაში, ეტიკეტის ჩვენება უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) ამ დანართის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამოსახულება საჩვენებელ მოწყობილობაზე უნდა განთავსდეს პროდუქტის ფასთან ახლოს;
- ბ) გამოსახულება უნდა უკავშირდებოდეს ეტიკეტს;
- გ) ეტიკეტი უნდა გამოჩნდეს მაუსზე ხელის დაჭერით, მაუსის მოძრაობით ან სენსორული ეკრანის მეშვეობით გამოსახულების გაფართოებით;
- დ) ეტიკეტი ეკრანზე უნდა გამოჩნდეს დაუყოვნებლივ, ახალ ფანჯარაში, ახალ გვერდზე ან ჩახურული ეკრანის გამოჩენით;
- ე) სენსორულ ეკრანზე ეტიკეტის გასადიდებლად გამოიყენება სენსორულ ეკრანზე გამოსახულების გადიდების საშუალებები;
- ვ) ეტიკეტი უნდა ჩაიხუროს დახურვის ოფციის ან დახურვის სხვა სტანდარტული მექანიზმის მეშვეობით;
- ზ) გრაფიკული გამოსახულების ალტერნატიული ტექსტი, რომელიც ეკრანზე უნდა გამოჩნდეს იმ შემთხვევაში როდესაც ეტიკეტი არ გამოჩნდა, არის პროდუქტის ენერგოეფექტურობის კლასი. მისი შრიფტის ზომა უნდა იყოს იგივე, რაც ფასის მისათითებლად არის გამოყენებული.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მიწოდებული პროდუქტის შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) საჩვენებელ მოწყობილობაზე უნდა განთავსდეს პროდუქტის ფასთან ახლოს. პროდუქტის შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ცხრილის (ფირფიტა) ზომა უნდა იყოს მკაფიო და გასაგები. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) შეიძლება გამოსახული იყოს ჩასმული ეკრანის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ბმული, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეტიკეტზე წვდომა, მკაფიოდ და გასაგებად უნდა შეიცავდეს მითითებას - „პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა)“. ჩასმული ეკრანის გამოყენების შემთხვევაში, პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) უნდა გამოჩნდეს მაუსის პირველივე დაჭერისთანავე, მაუსის მოძრაობით ან სენსორული ეკრანის მეშვეობით ბმულზე გადასვლით.

დანართი IV. პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ენერგოეფექტურობის ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია

პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის მოდელის ენერგოეფექტურობის ინდექსის (EEI) გამოსათვლელად, უნდა მოხდეს კამერის წლიური ენერგო მოხმარების შედარება მის სტანდარტულ წლიურ ენერგო მოხმარებასთან.

EEI გამოითვლება შემდეგნაირად:

$$EEI=(AEC/SAEC) \times 100$$

სადაც:

$$AEC=E24h \times af \times 365$$

AEC = კამერის წლიური ენერგო მოხმარება გამოხატული კვტ.სთ/წელიწადში

E24h = კამერის ენერგო მოხმარება 24 საათის მანძილზე

af = შესწორების მაჩვენებელი

$$SAEC = M \times Vn + N$$

SAEC = კამერის სტანდარტული წლიური ენერგო მოხმარება გამოხატული კვტ.სთ/წელიწადში

Vn = მოწყობილობის სალდო მოცულობა, რაც კამერის ყველა განყოფილების სალდო მოცულობის ჯამია და რომელიც იზომება ლიტრებში.

M და N მნიშვნელობები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

M და N კოეფიციენტის მაჩვენებლები

კატეგორია	M მნიშვნელობა	N მნიშვნელობა
ვერტიკალური გაცივება	1.643	609
ვერტიკალური გაყინვა	4.928	1 472
დახლზე გაცივება	2.555	1 790
დახლზე გაყინვა	5.840	2 380

დანართი V. ტექნიკური შემოწმება და გამოთვლის მეთოდი

1. ტექნიკური შემოწმების მიზნით უნდა ჩატარდეს გაზომვები და გამოთვლა, რომლებიც დაეყრდნობა იმ ჰარმონიზებულ სტანდარტებს, რომელთა შემცველი ნომრები გამოქვეყნებულია ენერგეტიკული გაერთიანების ვებ-გვერდზე შესაბამის განყოფილებაში ან/და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში ან/და საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებ-გვერდზე, ან დაეყრდნობა სხვა სარწმუნო, უტყუარ და აღწარმოებად გაზომვის პროცედურას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოდ აღიარებულ თანამედროვე მეთოდებს.

ტექნიკური შემოწმება და გამოთვლის მეთოდები უნდა პასუხობდეს ტექნიკური რეგლამენტის ამ დანართით დადგენილ განმარტებებს, პირობებს და პარამეტრებს.

2. პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის წლიური ენერგო მოხმარებისა და ენერგოეფექტურობის ინდექსის მნიშვნელობების დადგენის მიზნით მოქმედებს შემდეგი ზოგადი პირობები:

ა) გაცივებული კამერისთვის სატესტო შეფუთვების ტემპერატურა უნდა იყოს - 1 ° C-სა და 5 ° C-ს შორის, ხოლო გაყინული კამერისთვის - - 15 ° C-ზე დაბალი;

ბ) გარემო პირობები უნდა შეესაბამებოდეს მე-3 ცხრილით გათვალისწინებულ კლიმატის მე-4 კლასს, გარდა მსუბუქი რეჟიმის კამერებისა, რომელთა გამოცდა უნდა მოხდეს მე-3 კლასით დადგენილ გარემო პირობებში. მსუბუქი რეჟიმის კამერისთვის დადგენილი გამოცდის შედეგების მიმართ გამოიყენება მსუბუქი რეჟიმის კამერის 1.2-ის შესწორების მაჩვენებელი გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე და 1.1-ის შესწორების მაჩვენებელი გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე.

გ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის გამოცდა უნდა მოხდეს შემდეგი პირობებით:

გ.ა) კომბინირებული კამერის გამოცდა, რომელსაც გააჩნია სულ მცირე ერთი განყოფილება, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე ოპერირებისთვის, უნდა მოხდეს გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე;

გ.ბ) პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის გამოცდა, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ერთი განყოფილება, რომელიც განკუთვნილია გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე ოპერირებისთვის, უნდა მოხდეს გაცივებულ სამუშაო ტემპერატურაზე;

გ.გ) ყველა სხვა შემთხვევაში, გამოცდა უნდა მოხდეს გაყინულ სამუშაო ტემპერატურაზე.

3. კლიმატის მე-3, მე-4 და მე-5 კლასის გარემო პირობები გათვალისწინებულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

კლიმატის მე-3, მე-4 და მე-5 კლასის გარემო პირობები

გამოცდის ადგილი კლიმატის კლასი	მშრალი ბოლქვის ტემპერატურა, ° C	ფარდობითი ტენიანობა, %	დნობის ტემპერატურა, ° C	წყლის ორთქლის მასა მშრალ ჰაერში, გ/კგ
3	25	60	16.7	12.0
4	30	55	20.0	14.8
5	40	40	23.9	18.8

დანართი VI. ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო შემოწმების პროცედურა

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ბაზარზე

ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია შეამოწმოს ერთი პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა. იმ შემთხვევაში, თუ გაზომილი პარამეტრები არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ დეკლარირებულ მნიშვნელობებს, რომლებიც მე-4 ცხრილშია მოცემული, უნდა შემოწმდეს დამატებით სამი პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერა. აღნიშნული სამი პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის გაზომილი მნიშვნელობები უნდა შეესაბამებოდეს მე-4 ცხრილში მოცემულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოდელი და პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ყველა სხვა ექვივალენტური მოდელი მიჩნეული იქნება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ.

ცხრილი 4
დასაშვები გადახრ

გაზომილი პარამეტრები	შემოწმების დასაშვები გადახრები
საღივ მოცულობა	გაზომილი მნიშვნელობა არ უნდა იყოს ნომინალური მნიშვნელობის 3%-ზე ნაკლები
ენერჯის მოხმარება (E _{24h})	გაზომილი მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს ნომინალურ მნიშვნელობას 10%-ზე უფრო მეტად